თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7493425

ნომერი: AR11090547

თარიღი : 20.05.2025

გაცემის თარიღი : 28.05.2025

გაცნობის თარიღი : 28.05.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2025 წლის 20 მაისის №AR11090547 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 20 მაისს №AR11090547 განცხადებით ია ჩეხერიამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106

ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებით შეთანხმდა, №01.11.17.008.031 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული საოფისე შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, სურს არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობად 11753.6 კვ.მ-ის ნაცვლად 13850.6 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადარა შეთანხმებულ დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაზე დართული არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზები შეუსაბამოა წინამდებარე განცხადებაზე დართულ კროკებთან. ამასთან, შეთანხმებულ ბრძანებაზე არ არის დართული საპროექტო შენობა-ნაგებობის მესამე სართული კროკი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. დაევალოს განმცხადებელს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სამსახურის 2025 წლის 5 მაისის №7467106 ბრძანებაზე დართული არსებული სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზებთან შესაბამისი კროკები. ამასთან, საპროექტო შენობა-ნაგებობის მესამე სართულის კროკი.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2025 წლის 20 მაისის №AR11090547 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.